# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 173 ოთხშაბათი, 5 აგვისტო 1909 წ. № 173

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზამდე 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში, ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევი 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ-ახლა ასწორებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —

— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 6 აგვისტოს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

ვლადიმერ გიუანის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი 12 საათზე. (3—ა.—2)

საქართველოს სინოდალური კანტორა აცხადებს, რომ ამ აგვისტოს 6-ს სიონის საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელო

გორის ეპისკოპოსის პეტრეს

ნახევარი წლის გარდაცვალების გამო, უსამღვდელოესი გიორგი, ეპისკოპოსი იმერეთისა, წირვის შემდეგ გადაიხდის პანაშვიდს განსვენებულ მღვდელ მთავრის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. (2—395—1)

ექიმ ვ. ლამბაშიძის

### სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—21)

ახლად გახსნილი ტფილისის

### პერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. ვ. ფელდთრიგი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—125)

ექიმი ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერისთავის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—28)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—34)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 128,

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—29)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა (0—586—212

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი (ყოფილი თანაშემწე ლ. შტრეიხერისა) რაზიეზჟაია ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—22)

ექიმი კბილისა ი. შ. ჭანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. აბჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ხალ.) (24—310—17)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

დ. ყვირილაში

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

### პროგიმნაზია

ყვირილის და მის გარშემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ლამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—კვ.—3)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—73)

### სურამის პროგიმნაზიაში

გაიხსნა პირველი კლასი, ძირითად განყოფილებებთან ერთად. მისაღები თხოვნები მიიღება პირველ ენკენისთვემდის. გამოცდა დაიწყება 20 მარიამობისთვიდან და გაგრძელდება 1-ლ ენკენისთვემდის. სწავლის ფასი: პირველ კლასში წლიურად ხუთი თუმანი; უფროს განყოფილებაში წლიურად ოთხი თუმანი და დანარჩენ ორ განყოფილებაში წლიურად—სამ-სამი თუმანი. სწავლის ფასიდან ნახევარი უსა- [illegible] 10 ენკენისთვემდის. 3—311—3)

### დ. სურამში

8 აგვისტოს გაიმართება

### კონცერტი

ივ. სარაჯიშვილის, ქ-ნ თ. ძნელაძისა და სხვათა მონაწილეობით.

შემოსავალი სავსებით გადაიდება ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად. (3—უ.—2)


## ტფილისი 5 აგვისტო

თუ შიდა რუსეთის შესახებ მივედით იმ დასკვნამდე, რომ შ. ს. სამინისტროს მიერ განზრახული გამოყოფა ქალაქისა საგუბერნიო საერობო ერთეულში საჭირო არაა და მავნებელიც იქნება (იხ. „დრ." №№ 171 და 172), მით უმეტეს ამიერ-კავკასიაში არა აქვს ნიადაგი ამ რეფორმას.

ჩვენს განაპირა ქვეყანაში ქალაქი ჯერ განუვითარებელია, ღარიბი და მცხოვრებთა რაოდენობით ერთობ სუსტი. უმეტეს შემთხვევაში ჩვენს ქალაქებში არავითარი მრეწველობა არაა, ქალაქი უფრო ადმინისტრატიულს ცენტრს წარმოადგენს, ვიდრე ვაჭრობა-მრეწველობისას. ის მასშტაბი, რომლით შიდა რუსეთში გაიზომება დიდი, შუათანა და პატარა ქალაქი, ჩვენის ქვეყნისათვის ერთიორად ნაკლებია. სამინისტროს პროექტით მაგალითად, დიდ ქალაქად ითვლება ის, რომელშიაც 300 ათას სულზე მეტი ცხოვრობს; ასეთი ქალაქი სრულებით არაა ამიერ-კავკასიაში; შუათანა ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი 75 ათას უნდა აღემატებოდეს; ასეთი ქალაქი მხოლოდ ორია ამიერ-კავკასიაში. ადმინისტრაციის ცნობებით (1907 წლისა), ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და საოლქო ქალაქებში სცხოვრობს:

| | | |
|---|---|---|
| ტფილისს | 244.960 | სული |
| ბაქოს | 205.438 | " |
| განჯას | 42.454 | " |
| ქუთაისს | 40.270 | " |
| ბათუმს | 33.543 | " |
| ერევანს | 30.670 | " |
| ყარსში | 17.513 | " |
| თემირ-ხან-შურას | 10.685 | " |
| სოხუმს | 7.998 | " |

მართალია, ადმინისტრაციის ციფრები სრულ სინამდვილეს არ წარმოადგენენ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში იმდენად არ განსხვავდებიან სინამდვილისაგან, რომ დავუახლოვდეთ შიდა რუსეთის ქალაქის მასშტაბს. თუ მთავრობის პროექტში მიღებულ ნორმით ვიხელმძღვანელებთ, დავინახავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ორ ქალაქს შეუძლია იქონიოს პრეტენზიე გამოყოფვაზე: ტფილისსა და ბაქოს; ამათაც მხოლოდ სამაზრო ერობიდან გამოყოფვა შეუძლიათ და არა საგუბერნიოდან; დანარჩენი ქალაქები უნდა დარჩნენ სათანადო საერობო ერთეულებში, რადგან განზრახულ ნორმიდან (75 ათასი მცხოვრები) ჯერ კიდევ შორს არიან.

ასე რომ, თუ შ. ს. სამინისტროს პროექტს დავეფუძნეთ, რომელიც ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭომაც მოიწონა, დავინახავთ, რომ განზრახულ რეფორმას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის. იქნება ჩვენში სამაზრო და საგუბერნიო ერთეულები თუ შემუშავდება საოლქო ერთეული სამაზროს მაგიერ, სულ ერთია—მხოლოდ ტფილისსა და ბაქოს უნდა მიენიჭოს სამაზრო ერობის თვითმართველობა; ამათ არ შეეძლებათ საგუბერნიო ერთეულებში გამოყოფვა, დანარჩენ ქალაქებს სამაზრო ერთეულებშიაც-კი.

მაგრამ რა-კი ნამესტნიკი თავის ცირკულიარში აყენებს ამ საკითხს, იქნება ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციას ფიქრად აქვს—ამიერ-კავკასიისთვის სხვა ნორმები შემოიღოს, სხვა მასშტაბი მიიღოს ადგილობრივ ქალაქთა გასანაწილებლად. თუ ეს ასეა, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ნაბიჯი დიდი შეცდომა იქნება და ვნებას მოუტანს მომავალ საერობო საქმეს ჩვენში.

როგორც ვთქვით, ამიერ-კავკასიის [illegible] სუსტი და ღარიბია. თუ შიდა რუსეთში დიდ ქალაქების ბიუჯეტი მილიონებით განიზომება, ხოლო შუათანა ქალაქებისა—რამდენიმე ასი ათასი მანათებითა, ჩვენს ქალაქებში მილიონიანი ბიუჯეტი მხოლოდ ორს აქვს—ბაქოსა და ტფილისს. დანარჩენ საგუბერნიო და საოლქო ქალაქთა ბიუჯეტი ძლივს აღემატება ასი ათას, უმეტეს შემთხვევაში ასი ათასამდეც არ აღის: სამაზრო ქალაქთ ბიუჯეტებზე ლაპარაკიც არა ღირს. ამ სიღარიბით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქები სრულებით მოუწყობელნი არიან. მეორეს მხრით, ჩვენი სოფელიც ერთობ დაქვეითებული და ღარიბია; ღარიბი არა მარტო ქონებრივად, არამედ და კიდევ უფრო კულტურულის ძალებით. ასეთ პირობებში მათი განცალკევება, იმის მაგიერ, რომ საერთო ძალით შეუდგნენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ვნების მეტს არაფერს მოიტანს. შიდა რუსეთის ქალაქი და სოფელი 45 წელიწადია ცხოვრობენ საერობო ცხოვრებით, ურთიერთს ეხმარებოდნენ და ცოტად თუ ბევრად წინ წასწიეს კულტურა. ამათაც ეშინიანთ ეხლა ერთმანეთისგან განცალკევება, თუმცა ამისთვის მეტი ქონებრივი ძალაც შესწევთ და თუმცა ქალაქსაც და სოფელსაც ჰყავს მომზადებული კადრი საერობო მოღვაწეებისა, ჩვენს განაპირა ქვეყანაში, მაშასადამე, უფრო სუსტია ნიადაგი განცალკევებით მუშაობისათვის. ორივენი—სოფელიც და ქალაქიც—წაგებაში იქნებიან... ჩვენ არას ვამბობთ სამაზრო ან სარაიონო ერთეულებში ქალაქების გამოყოფვის წინააღმდეგ, მაგრამ საგუბერნიო ერთეულებში განცალკევება ჩვენის ქალაქებისა მავნებელიც იქნება და უსამართლოც. ჩვენი დიდი ქალაქებიც და პატარეებიც სოფლით არიან სულდგმულნი, რადგან მრეწველობა ნაკლებადაა ჩვენში განვითარებული; ჩვენს ქალაქებს და სოფლებს შორის უფრო ნაკლები განსხვავებაა, ვიდრე შიდა რუსეთში, ჩვენში უფრო მჭიდროთაა შეკავშირებული სოფელი და ქალაქი, ვიდრე იქ. ამას გარდა უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ყოველს გუბერნიაში პატარა და უღარიბესი ქალაქებია, რომელნიც მძიმე ტვირთად აეკიდება ერობას, თუ დიდ ქალაქისაგან მოაკლდა დახმარება. მაგალითად, ტფილისის გუბერნიაში უღარიბესი ქალაქია:

| | | |
|---|---|---|
| ახალციხე | 19.778 | მცხოვრები |
| თელავი | 11.810 | " |
| გორი | 10.269 | " |
| სიღნაღი | 8.994 | " |
| ახალ-ქალაქი | 6.720 | " |
| დუშეთი | 1.720 | " |

არც მცხოვრებთა რაოდენობის, არც შემოსავლის მიხედვით ამ ღარიბ ქალაქთ ცალკე საერობო ერთეულის შედგენა (რასაკვირველია, სამაზროსი ან სარაიონოსი) არ შეუძლიათ და სხვებისგან დახმარება ესაჭიროებათ. ხოლო თუ ტფილისი ცალკე საგუბერნიო ერობაში გამოიყო და გუბერნიისთვის დახმარება თავიდან აიცილა, ტფილისის საგუბერნიო ერობა იძულებული გახდება ეს სამაზრო ქალაქებიც განაცალკავოს (მთავრობის პროექტი ამის ნებას აძლევს საგუბერნიო ერობას). მაშინ ეს პატარა და უღარიბესი სამაზრო ქალაქები სრულებით უმწეოდ დარჩებიან...

გუშინდელს წერილში ჩვენ მოვიყვანეთ თეორეტიული მოსაზრებანი ქალაქის გამოყოფის წინააღმდეგ და აქ აღარ გავიმეორებთ. თუ იმ მოსაზრებებთან ერთად მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქალაქისა და სოფლის დღევანდელ პირობებს, ვგონებთ, რომ განსაზღვრულ რეფორმის შეთანხმება ჩვენი ქვეყნის პირობებთან რეფორმის განსახორციელებლად სრულებით საჭირო არაა. ჩვენში ქალაქებმა და სოფლებმა, პირველ ხანებში მაინც, ერთად უნდა სწიონ საერობო უღელი და მოღვაწეობა. მომავალიკი გვიჩვენებს, როგორ საერობო დამოკიდებულების შექმნა შეიძლება ამიერ-კავკასიის ქალაქსა და სოფლის შორის. ამის გამოსარკვევად საერთო ცხოვრებაც არის საჭირო, პრაქტიკაც და ქვეყნის (ქალაქისა და სოფლის) შესწავლა ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის მხრით. უამისოდ ისეთ რადიკალურის რეფორმის მოხდენა საერობო ცხოვრებაში, როგორიც ამ ჟამად განზრახულია შიდა რუსეთში, ერთობ სახიფათო იქნება ჩვენის მომავალის ერობისათვის.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, სინოდმა მოსპო გამოძიება იმ ქართველ მღვდელთა წინააღმდეგ, რომელთაც ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებოდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამის გამო მთელი შავ-რაზმელი პრესსა აყაყანდა. „ზემშჩინა"-ში ვკითხულობთ:

„უტყუარის წყაროებიდან გავიგეთ, რომ ფრიად დიდმა საქმემ საქართველოს ეკზარხოსის მკვლელის შესახებ მოულოდნელი მიმდინარეობა მიიღო. საქმის გამოძიება უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს იაცკევიჩს ჰქონდა მინდობილი. მან დაამტკიცა, რომ: 1) მკვლელობა განსაკუთრებით ნაციონალურ-პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა და 2) სათითაოდ ჩამოსთვალა ის პირები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მკვლელობაში. მათ შორის ბევრი ისეთიც ურევია, რომელსაც სასულიერო იერარქიაში დიდი ადგილი უჭირავს.

თანახმად ამ მოხსენებისა, მუშაობდა კომისია, შემდგარი საქართველოს საეგზარხოსო საქმეების კარგა მცოდნე პირებისაგან. ესენი იყვნენ: მიტროპოლიტი ვლადიმირი, მიტროპოლიტი ფლავიანე (ორივენი ეგზარხოსებად ნამყოფნი), მთავარ-ეპისკოპოსი ნიკოლოზი, ყოფილი რექტორი ტფ. სასულიერო სემინარიისა და დეკანოზი ვოსტორგოვი, ღრმა მცოდნე იმიერ-კავკასიისა. კომისიამ დაადასტურა იაცკევიჩის მოსაზრე'ანი და შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: არა თუ საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიაზე არ შეიძლება ლაპარაკი, თვით საეგზარხოსოც უნდა გაუქმდეს და იმის მაგივრად დაწესდეს ჩვეულებრივი ეპარქიე'ი, რადგან მას განსაკუთრე'ით მშვიდობიანობისა და მართლმადიდებელ ეკლესიის რელ გიურ მუშაობის ინტერესები მოითხოვს.

მიუხედავად კომისიის ამ მოსაზრებისა, სინოდის ობერ-პროკურორმა, მოილაპარაკა რა პირადათ კავკასიის ნამესტნიკს, საჩქაროთ მოსპო საქმე სწორეთ იმ დროს როდესაც რუსეთის ეკკლესიის უმაღლესი იერარქები კრებას ჯერ დაესწრებოდნენ. სინოდის კრებაზე, ამა წლის 20 ივლისს, ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხი ხელ-და-ხელ გადასწყვიტეს და დაადგინეს: საეგზარხოსო ხელ-უხლებელი დარჩეს და ნიკონის მკვლელობა დავიწყებას მიეცეს.

საბუთად ის მოჰყავთ, რომ ეროვნულ სიძულვილის ჩამოგდება მავნებელია!"

დარწმუნებულნი ვართ, რომ ვოსტორგოვებისაგან შემდგარი კომისია კარგს არას დასწერდა ქართველებზე; მაგრამ უსაფუძვლოც რომ ყოფილა,—იმდენად უსაფუძვლო, რომ სინოდსა და სინოდის ობერ-პროკურორსაც სხვა ვერაფერი მოუხერხებიათ და უარუყვიათ კომისიის მოხსენება. „რუსსკი სკავკაზა" ამ გარემოებასაც ადვილად ხსნის. იმის აზრით, სინოდიც და ობერ-პროკურორიც მონაწილენი არიან ეკსარხოსის მკვლელობაში: იციან მკვლელები და ხელს აფარებენო! აი, როგორ აბრმავებს ადამიანს კაცთმოძულეობა.

## დეპეშები

(პეტ. ტელ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო

### სპარსეთი

**თავრიზი.** საარჩევნო კომიტეტი ამომრჩევლებს იწვევს, რაც შეიძლება ჩქარა შეიკრიბნენ, დეპუტატების ამოსარჩევად, მაგრამ ამაოდ. ჯერ-ჯერობით მარტო 2,000 ამომრჩეველი შეიკრიბა.

ჯულფა-თავრიზის გზაზე, რომ ხალხს სცაროვავდნენ, სათარ-ხანის ფიდაები აღმოჩნდნენ. ბრბოს უფროს სათარ-ხანისგან ნაბრძანები ჰქონდა გუბერნატორის დაუკითხავად სოფლებში მოეკრიბა ხალხი და ფული, შეიარაღებულიყვნენ და წასულიყვნენ, მაქოს სახანოში, რომელსაც უკვე დაეცნენ ხოის ფიდაები. სოფელ ხოჯიაბადს დაეცა ბაგირ-ხანის 150 ფიდაი. ეს სამი დღეა, რაც განუწყვეტელი სროლაა.

### ოსმალეთი

**კანეია.** შუა დღის შემდეგ ქალაქში სამხედრო პატრული დაიარება. ნაბრძანებია, იარაღი ჩამოართვან იმ გლეხებს, რომლებიც ქალაქში შეიარაღებულები შემოვიდნენ. დროშას არავის ჩამოვახსნევინებთო.

**სტამბოლი.** დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს განცხადებებს, რომლითაც უქმდება მაკედონიის საფინანსო კომისია.

**სალონიკი.** პირველ სექტემბრიდან უქმდება დიდ სახელმწიფოების მაკედონიის საფინანსო კომისია. საგენერალო ინსპექტორმა ფინანსთა მინისტრისაგან ოფიციალური მოწერილება მიიღო, რადგანაც პირველ სექტემბრიდან მაკედონიის საფინანსო კომისია უქმდება, ამიტომ ამ სიტყვიდან ის ხარჯი ისპობა, რომელიც ამ მიზნისთვის გეძლეოდათო. ჟანდარმერიის და საფინანსო კომისიის მოსპობის შემდეგ, დარჩებიან ავსტრო-ჰუნგრეთის და რუსეთის სამოქალაქო აგენტი. როგორც ვიცით აგენტები—ოქტომბრამდის იმოქმედებენ.

გუშინ, 3 აგვისტოს პოლიტიკურ კავშირების წარმომადგენლების კრება მოხდა. კრებას უნდა განეხილა ახალი კანონი კავშირების შესახებ. კრებაზე „ერთობის და პროგრესის" კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა: კომიტეტი ამ კანონს „კონსტიტუციის საწინააღმდეგოთ არა სთვლით. კომიტეტი მეტად სთვლის რომ მის გარდა სხვა პოლიტიკური და ეროვნული კავშირები არსებობდნენო. კომიტეტის წარმომადგენლის ასეთმა განცხადებამ ძალიან აღელვა დამსწრეები. მათ სენატს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც პროტესტს უცხადებენ ახალ კანონის წინააღმდეგ.

დეპეშაზე ხელი უწერიათ, ბერძნებს, ბოლგარებს, სერბებს და ალბანელებს.

**სტამბოლი.** ელიან, რომ საბერძნეთი და ოსმალეთის მეორე ნოტაზე პასუხს 5 აგვისტოს გასცემს. სახელმწიფოების რჩევამ ოსმალეთის მთავრობაზე კარგი გავლენა იქონია. ყველგან მშვიდობიანი გაწყობილება სუფევს.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვა სუსტად მიდის. სტამბის მუშების გაფიცვა შედეგს ვერ აღწევს, გაზეთები გამოდიან, ზოგიერთები ჩვეულებრივის ფორმებით.

### საზღვარ-გარეთ.

**კოლორადო.** სპრინგოში სადგურის ახლო, ერთმანეთს დაეჯახნენ სამგზავრო მატარებლები. 400 მგზავრიდან მოკვდა 8, დაიჭრა 50 კაცი, რამდენიმე სასიკვდილოდ.

**ტოკიო.** მიწის-ძვრის დროს მოკვდა 30, დაიჭრა 73 კაცი. დაინგრა ბევრი ტაძარი.

**ბუდაპეშტი.** ციურიხში დააპატიმრეს მეორე ბოროტგანმზრახველი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფიუმეში საკრედიტო ბანკის განყოფილების გაცარცვასა და კასირის მკვლელობაში. დაპატიმრებული ოროლოკი აღმოჩნდა, მას უპოვეს 1260 კრონი.

### რ უ ს ე თ ი

**ნოვოჩერკასკი..** შეტკოვსკის მადნებში შეტაკება მოუვიდათ უცნობებს და მოსამსახურეებს. უცნობებს მოიჯარადრის გაცარცვა უნდოდათ. ფეხებში დაიჭრა მოიჯარადრე. ბოროტ-განმზრახველები მიიმალნენ.

**ვარშავა.** დამე, ჩქარის მატარებლით ჩეხელი სტუმრების უმრავლესობა საზღვარ-გარედ წავიდა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** სოფელ არმანიხში ბოროტ-განმზრახველებმა გაცარცვეს არყის დუქანი. დაჭრილია დახლიდარი.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 2 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 30, გარდაიცვალა 11, ავად არის 373 კაცი.

**ტვერი.** 2—3 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**იაროსლავლი.** 2—3 აგვისტოს რიბანსკსა და მის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 4 კაცი; იაროსლავსა და მის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 5 კაცი; მთლოგში ავად გახდა 1 კაცი.

**ვოლოგდა.** მთელ გუბერნიაში ავად გახდა 44, გარდაიცვალა 33 კაცი.

**არხანგელსკი.** ქალაქში ავად გახდა 4, არხანგელის მაზრაში 3, კემის მაზრაში 3 კაცი.

**პოლტავა.** 2 აგვისტოს დღე-დამეში გუბერნიაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი; 3 აგვისტოს გადიაჩის მაზრაში ავად გახდა 27, გარდაიცვალა 6 კაცი; კრემენჩუგში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 1 კაცი; გუბერნიის დანარჩენ ადგილებში ავად გახდა 6 კაცი.

**ეკატერინებურგი.** 3 აგვისტოს ავად გახდა 1 კაცი.

**კოსტრომა.** კინეშმის მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**კრონშტადტი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად ადარავინ გამხდარა. ავად არის 2 კაცი.

**რიგა.** ავად გახდა 2 კაცი.

---

# გაკვრითვე

(ბ. რაუდენიძეს)

თუ არსებითად გინდათ კამათი-იკამათეთ, თორემ უბრალო კინკლაობა არც მკითხველისათვის არის საინტერესო, არც ჩემთვის და, მგონია, არც თქვენთვის უნდა იყოს. თქვენისთანა მწერლებს ჩვეულებათა სჭირთ მოწინააღმდეგე მწერლის სახელის გატეხა და წარა-მარა ხალხთან დაბეზღება, უფროთ ამას, ბურჟუაზიის ქომაგიაო. პირველ წერილში, მაგალითად, სწერთ: ის (ესე იგი მე) თვითონ გამოგვიტყდა, რომ არ იცის, ვინ რა აზრისა იყო ბურჟუაზიის შესახებ ჩვენში ამ 15-20 წლის წინეთ, არ იცის, რა აზრის იყვნენ თვით ის პირები, რომელთაც შემდეგ „ცნ. ფურცლის“ ჯგუფი შეადგინეს, მარა ეს მას არც სჭირდება. **ის ახლა ბურჟუაზიას იცავს და ესეც საკმარისი“** (კურსივი ჩვენია). მე არ მითქვამს, არ ვიცი, რა აზრისანი იყვნენ მეთქი ბურჟუაზის შესახებ. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, ეხლა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ათი და ოცი წლის წინად რას სწერდნენ ქართველები კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლო ხანებში არც ერთხელ არც ერთს მწერალს არ უთქვამს, კაპიტალიზმის შემოსვლას ხელი შეუშალეთო. ლაპარაკი მხოლოდ იმის შესახებ იყო, რომ ფაქტიურად კაპიტალი არ არსებობსო. მე შემიძლიან არ ვიკისრო წერა იმის შესახებ, რაზედაც დაწვრილებითი ცნობები არა მაქვს ხელში, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ საზოგადოდ არ ვიცოდე, რა აზრისანი იყვნენ ქართველები ამის შესახებ. ყველა ხომ თქვენისთანა არ არის, რომ წარა-მარა სწეროს იმაზე, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს!

მაგრამ ვთქვათ, თქვენ მართალი ხართ ამ შემთხვევაში. რად დაგჭირდათ იმისი თქმა, არ. ჯ-შვილი ბურჟუაზიას იცავს და მეტი რა უნდაო? მარქსი კაპიტალის მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, მაშ ისიც ბურჟუაზიას იცავდა, კაუცკი ამბობდა, რუსეთის გამდიდრებისათვის საჭიროა საკუთარი კაპიტალი გაჩნდესო, მაშ ისიც ბურჟუაზის ქომაგი ყოფილა? მე კაპიტალის მნიშვნელობაზე ვწერდი და, თუ თქვენ არსებითად გინდოდათ მსჯელობა, ამაზე უნდა გეკამათათ. თუ თქვენ ამის მაგიერ იმითი კმაყოფილდებით, რომ მე ბურჟუაზიის ქომაგად გამოგყვევართ, მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ მოპირდაპირის პიროვნების დამცირებას უფრო გაინტერესებთ, ვიდრე სიმართლე. და რომ სიმართლე არ გაინტერესებთ, ეს თქვენი წერილის თვითეულ წინადადებიდან ცხადათ სჩანს. მეორე წერილში, მაგალითად, თქვენა სწერთ: ის (ე. ი. მე) ვიდაცებს აბრალებს ერთ ადგილზე დგომას და არსებულით დაკმაყოფილებას. არა მგონია, ჩვენ ვცხოვრობდეთ სახეში, რადგან, თუ ვინმეა არსებულით უკმაყოფილო, ეს ყველაზე უწინ ჩვენ ვართ, დიახ, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარება, არ გვაკმაყოფილებს დღევანდელი უფლებრივი მდგომარეობა, რეჟიმი და სხვა“. ნუ თუ მართლა ვერ გაგიგიათ, ვისზე არ რაზე ვწერდი? როდესაც არსებულ მდგომარეობაზე ვლაპარაკობდი, სახეში მქონდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. მაშინაც ვამბობდი და ეხლაც ვიტყვი, რომ ქართველ ხალხის წინმსვლელობისთვის აუცილებლად საჭიროა აღდგენა უკვე დაკარგულ საკუთარ საზოგადოებრივ ცხოვრებისა; ვინც არსებულის მდგომარეობით კმაყოფილდება ე. ი. ვისაც საკმარისად მიაჩნია, რომ პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის ისეთივე დარჩეს, რანაირიც ეხლა არსებობს, მოლიპულ გზაზე დგება საუბედუროდ, პირობები ნებას არ მაძლევენ, ამაზე სიტყვა გავაგრძელო, მაგრამ, ვფიქრობ ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო თქვენთვის, რომ მე საზოგადოდ არსებულის უკმაყოფილებაზე არა ვწერდი. თქვენც ამაზე უნდა გქონოდათ მსჯელობა, თუ სიმართლე გაინტერესებდათ.

ცოტა ქვევით თქვენა სწერთ: „დავანებოთ ამას თავი და მივუბრუნდეთ ისევ ქართული კაპიტალის როლს საქართველოს ეროვნულ იდეალისთვის. ბ. ჯ—შვილს ამ ქართულ კაპიტალზე აქვს დამყარებული მთელი თავისი იმედები, მისგან ელის ერის კულტურის, ენის და ლიტერატურის აყვავებას, ერთი სიტყვით, ეროვნულ სიმდიდრის შექმნას“. სიცრუეა! ვერც ერთს სიტყვას ვერ დამისახელებთ ჩემის წერილიდან, საიდანაც სჩანდეს, რომ ერის ენის, კულტურის და ლიტერატურის აყვავებას კაპიტალის განვითარებისაგან მოველოდეთ. მართლა რომ ასეთი აზრები გამომეთქვა, მაშინ საწინააღმდეგო ადარავფერი უნდა გქონოდათ, რადგან ჩემი მსჯელობა ტიპიური მარქსისტული მსჯელობა იქნებოდა. ჩემი აზრი სულ სხვანაირი იყო; მე ვამბობდი, რომ ერის განვითარებისთვის საჭიროა ყველა იმის ძალების სრული და თავისუფალი განვითარება-მეთქი. ერი წარმოადგენს ერთ მთელ ორგანიზმს, რომლის შემადგენელ ნაწილების დაზიანებაც ურთიერთზე მოქმედებს.*) თუ ერს რომელიმე ორგანო დაზიანებული აქვს, აუცილებლად საჭიროა მისი განკურნება. „ჩვენ არ შეგვიძლიან სოციალურ ორგანიზმის ერთი რომელიმე ნაწილის განვითარება საჭიროდ ვაღიაროთ, მეორესი კი—არა. ჩვენ ან ერი ვართ და მაშინ სრულ ეროვნულ ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, ან სრული ეროვნული ცხოვრება არ შეგვძლებია, და მაშინ ერიც ადარა ვყოფილვართ“. ასე დავაბოლოვე ჩემი მეორე წერილი. დამერწმუნეთ, რომ იმისა, რასაც თქვენ მაწერთ და ჩემს სიტყვებს შორის დიდი განსხვავებაა. ეს მეორე საბუთი იმისა, რომ თქვენ სიმართლე არ გაინტერესებთ.

*) ეროვნული ორგანიზმი ჩვენ ისე არა გვაქვს წარმოდგენილი, როგორც ხაბუნების მეტყველი მეცნიერებაში ხმარობენ ხოლმე. საერთოდ არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, ეროვნული ორგანიზმი ბიოლოგიურ ორგანიზმისავით წარმოვიდგინოთ, რადგანაც, ჯერ ერთი, ეს არსებითად სწორი არ იქნება და, მეორეც, გაუგებრობა შეაქვს საკითხში, ერი წარმოადგენს ერთს მთელს, ინდივიდუალურ არსს, რომელიც სცხოვრობს თავის ინდივიდუალურის ცხოვრებით, აქვს წარსული, აწმყო და მომავალი, მაშასადამე მუდამ ზრდისა და განვითარების პროცესში იმყოფება მხოლოდ ამიტომ ვეძახით ერს ორგანიზმს. სრულ ანალოგიის გაყვანა ბიოლოგიურსა და სოციალურ ორგანიზმს შორის ჩვენ შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია.

კაუცკის აზრის შესახებაც იმას არ ამბობთ, რაც უნდა გეთქვათ. კაუცკი ფაქტად აღიარებს, რომ რუსეთის სიღარიბე საკუთარ კაპიტალის უქონლობისაგან წარმოსდგებაო. მეც მხოლოდ ეს მოსაზრება მოვიყვანე კაუცკისა იმის დასამტკიცებლად, რომ უკეთესი წარმომადგენლები სოციალ-დემოკრატიისა ისე ვიწროდ არ უყურებენ საქმეს, როგორც ჩვენებურები. ე. ი. კაუცკი ისეთი უტოპისტი არ არის, რომ ნატვრა დაიწყოს, რა მირჩევნია რომ მქონდესო —იგი მატერიალისტია და ყოველი კითხვის პასუხს ცხოვრების მსვლელობაში ეძებს, იგი არა სვამს კითხვას ისე, როგორც თქვენ, ე. ი. სასურველია თუ არა ნაციონალური კაპიტალი რუსეთისთვის. მან იცის, რომ ასე კითხვის დასმა ოცნების სამეფოში ფრენის მეტს არაფერს მოიტანს“. ამას ბრძანებთ თქვენ და დარწმუნებულიცა ხართ, რახან „უტოპიზმი“, „მატერიალიზმი“ და „ოცნება“ ახსენეთ, ფრიად **მეცნიერული** აზრი გამოსთქვით. კაუცკი-კი არ ოცნებობს, ცხოვრებას ღრმა ანალიზს უკეთებს და უცხოეთიდანაც კარგად ჰხედავს, რომ რუსეთის სიღარიბე საკუთარ კაპიტალის უქონლობისაგან წარმოსდგება. თუ რუსეთის სიღარიბე ამ მიზეზისაგან წარმოსდგება, თავის თავად ცხადია, ამ სიღარიბის გამომწვევ მიზეზის მოსპობა სასურველი უნდა იყოს. ამის სურვილი არც უტოპიზმია და არც ოცნება. კაუცკი რუსეთის გასამდიდრებლად და კაპიტალის განსავითარებლად სამოქმედო პროგრამას არ ადგენს. მაგრამ ამისთანა პროგრამა ხომ არც ჩვენ მიგვიწვდენია ჩვენის მკითხველისთვის. ჩვენ მხოლოდ ვაღიარეთ, რომ ქართულ კაპიტალის უქონლობა ისეთსავე სიღარიბეში აგდებს საქართველოს, როგორსაც რუსულ კაპიტალისა—რუსეთს. საკამათო მხოლოდ ეს იყო. საკითხი კი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს ეს კაპიტალიზმი, ჩვენ არ აღგვიძრავს და არც აღვძრავთ არასოდეს. ჩვენ გვინდა ქართველი ხალხი ისეთს პოლიტიკურ პირობებში ჩავაყენოთ, რომ ქართველ მშრომელთა განვითარება უზრუნველ ეყოფოდეს. ამის წინააღმდეგი ვერც ერთი პროგრესისტი ვერ გახდება.

კიდევ ბევრი რამ არის საპასუხო თქვენ წერილში, მაგრამ რადგან სიტყვა გაგვიგრძელდა, ამაზე ვსპობთ კამათს იმ დრომდე, სანამ ჩემი მოსაზრების წინააღმდეგ არსებითად გამოსთქვამთ თქვენს აზრს.

**არ. ჯ—შვილი.**

---

### სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელნი

ვისაც გაუთვალისწინებია დღევანდელ სამრევლო-საეკლესიო სკოლების პროგრამა იმისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ეს პროგრამა სრულებით არ შეესაბამება დღევანდელ ჩვენის ცხოვრების მოთხოვნილებას. ცხოვრება თანდათან წინ მიდის, ხოლო ეს სკოლა ერთ წერტილზე სდგას. ცოცხალი საგნები (საბუნების-მეტყველო საგნები, სამშობლო ისტორია, სამშობლოს აღწერა და სხვა) განდევნილია, როგორც სამრევლო-საეკლესიო, ისე სამინისტრო სკოლებიდან. ორსავე ტიპის სკოლას სარჩული გარუსების პოლიტიკა უდევს. ორივე სკოლის მთავრობანი იმას სცდილობენ, რომ სკოლათა რიცხვით ერთმანეთს დასჯაბნონ. წინადაც ყოფილა ასეთი შემთხვევა და ეხლაც ხდება, რომ დირექცია და საეპარქიო საბჭო ერთმანეთს ეცილება „არა მე უნდა გავხსნა ამა და ამ სოფელში სკოლა და არა მეო“. არც ერთი მთავრობა არა სცდილობდა სკოლების ღირსების ამაღლებაზე, მასწავლებელთა მომზადებაზე, მათ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

მაგრამ ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური მოუმზადებლობა. სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლების უმრავლესობას ან სასულიერო სასწავლებლებში აქვთ სწავლა დამთავრებული ან სოფლის ორკლასიან სკოლებში, უმცირესობას კი სასულიერო სემინარიაში. ერთი ვკითხოთ: რა პედაგოგიური მომზადება უნდა ჰქონდეთ სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში და სოფლის ორ კლასიან სკოლაში კურს დამთავრებულთ? რასაკვირველია, არავითარი, რადგან არც ერთი და არც მეორე სასწავლებელი პედაგოგიურ განათლებას არ იძლევა. მათ მეთოდიკაზე, პედაგოგიკაზე და დიდაქტიკაზე

---

# ეროვნება, ენა და ესთეტიური კულტურა

3*).

„ერი არის სული, ფსიხიური ერთეული“... ეს დებულება პარადოქსალურად მხოლოდ იმას ეჩვენება, ვინც ძველ ფსიხოლოგიურ თეორიის ნიადაგზე სდგას და სულის დედაარსს სუბსტანციაში ეძებს: მართლაც და, თუ სული, „სივრცეს მოკლებული, მოაზროვნე სუბსტანციაა“, როგორც დეკარტმა განმარტა, ან „უცვლელი, აბსოლიუტურად განუყოფელი, უბრალო არსება“, როგორც ჰერბარტს ეგონა, თუ იგი რეალურ ფსიხიურ მოვლენათა გარეშე ან მათ უკანა სდგას, რათა მათს მუდმივ ცვალებადობასა და მიმდინარეობაში დამოუკიდებლობა და იგივეობა შეირჩინოს, მაშინ ეროვნულ სულის არსებობა მეტაფიზიკურ პრობლემად ხდება, რომლის გადაწყვეტაც მეცნიერულს ნიადაგზე ყოვლად შეუძლებელია. სოციალურ ცხოვრების გამოცდილებაში ასეთ ეროვნულ სულის სუბსტანციას, რასაკვირველია, ვერსად შევხდებით. ან და სად უნდა ვეძიოთ იგი: რაიმე ეროვნულს დაწესებულებაში? საკანონმდებლო ან აღმასრულებელ მთავრობაში? ან ეროვნების თვითეულ წევრში მის ინდივიდუალურ სულის გვერდით, მისთვის ცალკე მიჩნეულ სფეროში? ამაოა ეს ძიება ეროვნულ სულის სუბსტანციისა, როგორც ამაო იყო ინდივიდუალურ „სულის საჯდომის“ ძიება დეკარტის მიერ, რომელიც მან ბოლოს ვითომდა პატარა ტვინის ქვეშ აღმოაჩინა. ამაოა და უნაყოფო, იმიტომ რომ არც ფსიხიურ, არც სოციალფსიხიურ გამოცდილების სფეროში არ არსებობს არც „საჯდომი“, არც თვით სუბსტანცია სულიერ მოვლენათა: ერთიც და მეორეც მეტაფიზიკურ კონსტრუქციის ნაყოფია და ყოვლად უადგილოა როგორც ფსიხოლოგიაში, ისე სოციალურს მეცნიერებაში.

სულ სხვა დასკვნამდე მივალთ, თუ იმ ფსიხოლოგიურ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, რომელსაც ზევით აქტუალური თეორია ვუწოდეთ, როგორც ინდივიდუალურ სულის შინაარსი წარმოდგენათა, გრძნობათა და ნების ლტოლვათა მთლიანობაში მდგომარეობს და არა მათ უკან დამალულს მეტაფიზიკურს არსებაში, ისე სოციალურ ფსიხიკის რეალობაც იმ მოვლენათა ურთიერთობაში იხატება, რომელნიც არსებითად სულიერ შემოქმედების ნაყოფნი არიან, მაგრამ ამასთან ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე შეუდარებლად მაღლა სდგანან. ეს სოციალ-ფსიხიური მოვლენანი—ენა, ხელოვნება, სარწმუნოება, მითოლოგია, მსოფლიო მხედველობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ზნე-ჩვეულება და სხ. ისევე შეურყევლად მოწმობენ ეროვნულ სულის რეალობას, როგორც ინტელექტუალურ და ემოციონალურ ელემენტების არსებობა მოწმობს ინდივიდუალურ სულის რეალობას. როგორც იქ, ისე აქ სულის დედაარსი იხატება აქტივობაში, შემოქმედებაში, მიმდინარეობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთის მათგანის ასპარეზი უფრო ფართო, დიადი და ამაღლებულია, ვიდრე მეორესი.

ჩემი აზრის განსამარტებლად და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მივმართავ ერთს მეცნიერულს კანონს, რომელსაც თანამედროვე ვოლუნტარისტული ფსიხოლოგია (სახელდობრ, ვ. ვუნდტი) „ფსიხიურ რეზულტატების პრინციპს“ უწოდებს. ამ პრინციპის მიხედვით, რთული ფსიხიური მოვლენა აღჭურვილია ხშირად არა მარტო იმ თვისებებით, რომელნიც თვითეულს მის შემადგენელს ელემენტს ეკუთვნიან, არამედ ახალ მარებითაც, რომელნიც არც ერთს ელემენტს ცალკე არ ჰქონია. ავიღოთ, მაგალითად, მელოდია: იმის შემადგენელ ელემენტებს ტონები და მხოლოდ ტონები წარმოადგენენ; მიუხედავად ამისა, მას ახასიათებს ისეთი ფსიხიური თვისება, რომელიც არც ერთს ტონში ცალკე არ მოიპოვება და რომელიც მხოლოდ მათის შეერთებისაგან გამომდინარეობს. სიმაღლეც, სიძლიერეც ანუ ინტენსივობაც თვითეულს ტონს ცალ-ცალკე აუცილებლად თან დასდევს, მაგრამ მას აკლია ის გამოუთქმელი რაღაც, რაც მელოდიას მელოდიად ჰხდის და რის ძებნაც თვითეულს ტონში ამაოა,

ასეთივეა დამოკიდებულება ეროვნებასა და ცალკე პიროვნების შორისაც; ეროვნება შესდგება ცალკე პიროვნებათაგან და მხოლოდ მათზე და არა ამოცანისებურ სუბსტანციაზე არის დაფუძნებული მისი არსებობა. მაგრამ, როგორც მელოდია მეტია, ვიდრე უბრალო ჯამი შემადგენელ ტონებისა, ისე ეროვნებაც მეტია, ვიდრე ინდივიდუალობათა კონგლომერატი: თუ გნებავთ, იგი სოციალური მელოდიაა, მხოლოდ უფრო თვით-მომქმედი და დიადი, ვიდრე მუსიკალური მელოდია.

თუ ამ შეხედულების დასამოწმებლად ვინმესთვის მეცნიერული ავტორიტეტია საჭირო, ჩვენ შეგვიძლიან მივუთითოთ ვ. ვუნდტის შესანიშნავ სიტყვებზე მის „ლოღიკაში“ (ტომი 3, გვ. 294—295, მესამე გერმანული გამოცემა): „როგორც ინდივიდუალური სული არის მხოლოდ ინდივიდუალურ მეგნების ფსიხიურ განცდათა ურთიერთობა, ისევე „ერის სული“, ანუ სხვა რომელიმე ფორმა სოციალურ ფსიხიკასა, მხოლოდ ფაქტიური სინამდვილეა ყველა იმ ფსიხიურ მოვლენისა, რომელიც ჩნდება განსაზღვრულს საზოგადოებაში ინდივიდუალურ-ფსიხიურ ენერგიის ურთიერთობის წყალობით. ამ ნიშნობლივ თვისების შემწეობით ნათლად შეგვიძლიან გავარჩიოთ, თუ რა ეკუთვნის სუბიექტს და რა „ერის სულს“... ენა..., მითოლოგიური წარმოდგენანი, ნებისყოფის ლტოლვანი, განორციელებულნი ზნე-ჩვეულების და მორალურ შეხედულების ფორმებში, წარმოადგენენ ისეთ სულიერ მოვლენათ, რომლის მატორებლად უსათუოდ სულიერი სოციონობა უნდა ვიგულისხმოთ, იმიტო რომ მათ წარმოშობის და განვითარების დროს თვითეული მოქმედებს მხოლოდ როგორც ნაწილი დიდ ერთეულისა და მხოლოდ თავის სგავს ძალთა ურთიერთობაში და დამოკიდებულებაში შობს ამ მოვლენათა. თუ ამ შემთხვევაში ინდივიდუუმი განცალკევებულად და გათიშულად წარმოვიდგინეთ, გაჰქრებიან თვით ის ფსიხიური მოვლენანიც.

ამგვარად, ეროვნება შესდგება ცალკე პიროვნებათა და მხოლოდ პიროვნებათაგან, მაგრამ მისი სულიერი ენერგია გაცილებით მეტია, მისი შემოქმედებითი მუშაობა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე უბრალო ჯამი მის შემადგენელ ინდივიდუალ სულიერ რეალობათა. მის ფსიხიურ შემოქმედების სალაროში შედის აუცილებლად ისიც, რასაც ცალკე პიროვნება ჰქმნის, მაგრამ მის სიმდიდრეს, მრავალ მხრივობას ახასიათებს ისეთი რამ, რაც ცალკე პიროვნებას არასოდეს არ შეუძლიან წარმოშვას. ეს ზედმეტი, ეს რთული, ეს ფაქტიური შინაარსი სოციალურ პირობებისა, ეს საფუძველი ჭეშმარიტ ადამიანობისა, მისი ზრდის და განვითარებისა მტკიცე საბუთია იმისა, რომ ეროვნება შემომქმედი ფსიხიური რეალობაა, უფრო ძვირფასი, ვიდრე ინდივიდუალობა. ძველი მეტაფიზიკური თეორიები, მაგალითად, ჰობბესისა, რომელიც დამოუკიდებელ რეალობად მხოლოდ ინდივიდუალურს სხეულს სთვლიდა, ან ახალგაზრდა ფიხტესი, რომელიც, პირიქით, მხოლოდ ინდივიდუალურ გონების სინამდვილეს სცნობდა, უნდა უარყოფილ იქმნან თანამედროვე მეცნიერების სახელით, როგორც უარყოფილ უნდა იქმნას აქედან ლოღიკურად გამომდინარე ეთიური შეხედულება, რომ მშვენიერების და ჭეშმარიტების ერთად-ერთი წყარო სუბიექტიური გონებაა და რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, კერძოდ ეროვნება, უნდა მოისპოს და ასპარეზი მისცეს ინდივიდუალურ ნებისყოფის აბსოლიუტურს თავისუფლებას, იმიტომ რომ ეროვნება არის არა ისტორიული შეცდომა, რომელიც უნდა გაჰქრეს ისტორიულისავე განვითარების შემწეობით, არამედ უდიდესი საუნჯე, რომელიც შესაძლებლად ჰხდის კაცობრიობის წინსვლასა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაკენ. „დიდი შეცდომა იქნებაო,—ამბობს იგივე ვ. ვუნდტი,—რომ კაცობრიობის სულიერ ურთიერთობის გაძლიერებიდან ეროვნულ ხასიათის და ნიჭის განსხვავებათა გაქრობას ველოდეთ ან, მით უმეტეს, ვნატრობდეთ. განათლება არასოდეს არა ალარიბებს სულიერად, არამედ ამდიდრებს. ისევე როგორც თვითეულ ხალხის ფარგალში განათლება დაუსრულებლად აძლიერებს ხასიათთა სხვა და სხვაობას, ის უეჭველად იდეათა ინტენსიურ გაცვლა-გამოცვლის წყალობით გაამდიდრებს ცალკე ეროვნებათ და ხელს შეუწყობს მათ თავის განსაკუთრებულ მიმართულებისკენ განვითარდეს“. („ეთიკა“, ტომი 3, გვ. 366, მესამე გერმან. გამოც.).

4.

მას შემდეგ, რაც თანამედროვე აზროვნებამ ყურადღება მიაქცია არა მარტო იმას, რაც სხვა და სხვა პიროვნებასა და ეროვნებას ერთი მეორეს ამსგავსებს, არამედ იმასაც, რაც მათ ურთიერთისაგან ანსხვავებს და აცალკევებს; მას შემდეგ, რაც მან ისწავლა იმ თავისებურის, ორიგინალურის და განუმეორებელის დაფასება, რომელიც პიროვნებას პიროვნებად, ხოლო ეროვნებას ეროვნებად ჰხდის, ნიადაგი გამოეცალა ერთფეროვან მსოფლიო მოქალაქეობის იდეალს და მისწრაფებას. დიადია და პროგრესის მამოძრავებელი უწინარეს ყოვლისა ის, რასაც ინდივიდუალობა და ეროვნება ჰქმნის ახალს, ანორმალურს, ამ სიტყვის კეთილშობილ მნიშვნელობით. გენიოსურს თავის მოულოდნელობით და თავისუფალს კონკურენციაში სხვებთან ერთად კაცობრი-

*) იხ. „დროება“, N 172.

წარმოდგენაც კი არა აქვთ. სწორედ ცოდვაში ვარდებიან ისინი, რომელნიც ასეთს მასწავლებლებს ბავშვების სწავლა-აღზრდას აბარებენ. ასეთმა მოუმზადებელმა მასწავლებლებმა სრულებით არ იციან, როგორ უნდა ასწავლონ ბავშვებს წერა-კითხვა, ანგარიში და სხვა. ამისთანა მასწავლებელი თავიანთ თავსაც აწვალებენ და მოსწავლეთაც უმახინჯებენ გონებას.

ისინი, ვინც ამ მასწავლებლებს ნიშნავენ, არაფერს დაგიდევენ. იმათის აზრით, რა საჭიროა სოფლის მასწავლებლისთვის მეცნიერება, პედაგოგიკა, მეთოდიკა და დიდაქტიკა; წერა-კითხვას და ანგარიშს აწავლიან და მეტი არ არის საჭირო. თქვენს პირს შაქარი, ბატონებო, მაგრამ სწორედ ამ წერა-კითხვას რომ ვერ ასწავლიან! მასწავლებლების დანიშვნის დროს საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს განყოფილების წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან ხოლმე, არა ჩემი კანდიდატი გავიდეს მასწავლებლად და არა ჩემიო, იმას კი არც ერთი არ დაგიდევს, რამდენად მომზადებულია ესა თუ ის კანდიდატი მასწავლებლობისთვის.

სწორედ რომ სთქვას კაცმა, იმ ჯამაგირზე, რომელიც სამრევლო სკოლებშია, კარგი მასწავლებელი არც წავა. სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლები ნაკლებ ჯამაგირს იღებენ სამინისტრო სკოლების მასწავლებლებზე. ბევრია ისეთი მასწავლებელი, რომელიც უჯამაგიროდ მსახურებს სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. ზოგს აძლევენ წელიწადში ხუთი თუმნიდან ათ თუმნამდე და ათი თუმნიდან ოც თუმნამდე. ორ-კლასიან სკოლებში უფროსს მასწავლებლებს აქვთ 300—360 მ. ასეთი სკოლები კი თითო ეპარქიაში ხუთი თუ მოიძებნება. ამ მცირე ჯამაგირსაც მასწავლებელი დროზე ვერ იღებს. აშკარაა, მოუმზადებელმა მასწავლებელმა რომ მოიწადინოს წიგნებისა და ჟურნალების შეძენა, ვერ შესძლებს.

ეხლა სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მთავრობა აპირებს მასწავლებელთა ჯამაგირების მომატებას, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. საჭიროა სრული რეორგანიზაცია სკოლებისა, ხოლო რადგან ეს მოსალოდნელი არ არ არის, საჭიროა მასწავლებლების ცენზი მაინც ასწიონ, სხვა სიკეთე თუ არ იქნება, ერთი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი ან კურსები მაინც დააარსონ, რომ ცოტად თუ ბევრად მოამზადებენ ყმაწვილებს მასწავლებლებად და ამით აარიდონ ეხლანდელ მასწავლებლებს და მოწაფეთ ის ტანჯვა-წვალება, რომელსაც ისინი განიცდიან წერა-კითხვის სწავლების დროს.

**ლორეშელი კაცი.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საიდუმლოდ იარაღის შემოტანა.** მოსკოვის გაზეთებს ბათუმიდან დეპეშით ატყობინებენ: „ბათუმის დამოჟნაში შინჯავდნენ ხეტყეს. მოხელეებს ეჭვი შეეპარათ და ერთი ხე გასჭრეს. ხის გულში თოფის ნაწილები ნახეს. იპოვეს 24 თოფი".

✦ **ახალი სკოლები.** ტფ. მაზრის სოფ. ახალსოფელსა, დიდ თონეთსა და საგარეჯოში არსდება ახალი სამინისტრო სკოლები.

✦ **გაზეთი „ბატ. ნოვოსტი".** „ტიფლ. ლისტ.-ში ვკითხულობთ: „ბათუმის მცხოვრებს დემურიას მოლაპარაკება აქვს გაზეთ „ბატ. ნოვ."-ს შეძენაზე. ბ-ნ დემურიას, როგორც ამბობენ, ფულს აძლევს ბ-ნი ვერიუ. გაზეთის მახლობელ თანამშრომლად და ხელმძღვანელად ასახელებენ ცნობილ პალმს".

✦ **ორი კაცის ჩამოხრჩობა.** ბაქოში 1 აგვისტოს ორი კაცი ჩამოუხრჩვიათ. ამათ ჰბრალდებოდათ ნავთის-მწარმოებლის რილსკის გატაცება (ტ. ლ.)

✦ **ოქტომბრისტები და ერობა კავკასიაში.** ტფილისში ჩამოსულა ოქტომბრისტთა პარტიის ერთ-ერთი მეთაური ი. ნ. მილიუტინი (მილიუტინი წინად „კავკაზის" რედაქტორად იყო). მან, ოქტომბრისტთა პარტიის მონდობილებით, უნდა შეადგინოს პროექტი ერობის დებულებისა კავკასიისთვის. მილიუტინი მიუწვევიათ ერობის შესახებ შემდგარ საგუბერნიო თათბირში და მის სექციებში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **სათავად-აზნაურთა ბანკში მომხდარ ინციდენტის გამო.** თავად-აზნაურთა ბანკში 5 ივლის მომხდარ ინციდენტის გამო კავკასიის ჯარის უფროსს თავ. მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანისათვის მიუსაჯნია ერთი თვით ჰაუვახტში დაპატიმრება.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწის მიცკევიჩის გადადგომა.** როგორც „ზაკავკაზიე"-ს გაუგია, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი მიცკევიჩი თანამდებობას თავს ანებებს თურმე. იმის ნაცვლად ნამესტნიკის თანაშემწედ და სამოქალაქო ნაწილის გამგედ ნიშნავენ სენატორს ვეტაცის.

✦ **მესამე სართული.** ტფ. ქალაქის გამგეობას არა ჰყოფნის ეხლანდელი შენობა და ამიტომ მან მეზობლად ტფ. გუბერ. თავად-აზნ. შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სახლის ნაწილიც დაიქირავა, წელიწადში 1600 მან. გამგეობაში ლაპარაკია, ქალაქის შენობას ერევნის მოედანზე მესამე სართული დაედგას.

✦ **მღვდელ გძელიშვილის შესახებ.** საეპარქიო სანთლის ქარხნის ზედამხედველი მღვ. გძელიშვილი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს ვითომ 6520 მან. მას მიეთვისებინოს, უკვე განთავისუფლეს, მაგრამ ექსარხოსის მოადგილემ ეპისკოპოსმა გიორგიმ იგი დროებით თანამდებობიდან გადააყენა და ქარხნის რევიზია დანიშნა.

✦ **მესამე სექციის სხდომა.** დღეს, 5 აგვისტოს, საღამოს 8 საათისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა ერობის შესახებ მესამე სექციისა.

✦ **უპასპორტოები.** პოლიციის მე-3 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 41 უპასპორტო კაცი.

✦ ქალაქის ვენერიულ საავადმყოფოს გამგემ ექ. ისტამანოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდოს ფული საავადმყოფოს გასაფართოებლად. ბევრჯელ უადგილობის გამო ავადმყოფებს უარს ეუბნებიან და არ იღებენ. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს თავის წევრს ა. მ. არგუთინსკის შეადგინოს მოხსენება საბჭოში წარსადგენად საავადმყოფოს გაფართოების შესახებ.

✦ როგორც ქალაქის გამგეობის დავთრებიდანა სჩანს, 1 იანვრიდან 26 ივლისამდე ქალაქის კასაში შესულა: დასაფასებელ გადასახადისა—407,227 მან., წყლის ფული 114,444 მან., სავაჭროდან—34,337 მან., საიჯარო გადასახადისა—36,708 მან., ცხენებისა, ეტლებისა და დროგების გადასახადისა—27,845 მან, სატრაქტირო გადასახადისა—40,442 მან., ქალაქის შენობების ქირა—10,124 მან., ჯარიმა დროზე გადასახადების შეუტანლობისათვის—41,297 მან. და სხვა.

✦ აგვისტოს ტფ. მოქალაქის მეუღლემ მარიამ დავლიაშვილმა, თამარის ქუჩაზე მცხოვრებმა, პოლიციას განუცხადა: 2 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე ხუდადოვის ტყეში დავსეირნობდი ჩემ ნაცნობ გრიგოლ ნელეპთანი ამ დროს ჩვენთან მივიდა სამი უცნობი კაცი, აგვიტეხეს ჩხები და სცემეს ნელეპსა. ორმა ნელეპი განზე გაიყვანა, ხოლო მესამემ წინადადება მომცა წავყოლოდი დარაჯების სადგოში. მე უარი უთხარი. ამის გამო უცნობმა ოქროს ნივთები ჩამომართვა და მითხრა ხვალ სამი მან. მოიტანე, თუ გინდა შენი ნივთები გამოიხსნაო. გამოძიებით გამოირკვა, რომ ნივთები ქალისათვის არავის წაურთმევია. მარიამ დავლიაშვილს უთქვამს, გაცარცვა იმიტომ მოვიგონე, რომ არ მინდოდა ეს ამბავი გამომჟღავნებულიყო რადგან ქმარი მყავსო.

# ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი

10 ივნისს შესრულდა 25 წელიწადი, რაც პოლიკარპე ი. ჩხიკვიშვილი დ. ხონში საექიმო ასპარეზზე მოღვაწეობს.

ვინც იცის, რა სიბნელესა და ცრუმორწმუნეობაში იხრჩობა დღესაც ჩვენი სოფელი, ის ადვილად წარმოიდგენს, რამდენ ხელშემშლელ პირობასთან მოუხდებოდა ბრძოლა მეცნიერულ ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდას. ეჭვს გარეშეა, რომ ამ 25 წლის წინად ჩვენს სოფელში მუშაობა შეეძლო მხოლოდ ისეთ ექიმს, რომელიც ხალხისადმი სიყვარულითა და გულშემატკივრობით იყო გატაცებული.

სწორედ ასეთი იყო და არის ბ-ნი ჩხიკვიშვილი, რომელსაც თავის ცოდნისა და შრომის მოყვარეობის წყალობით შეეძლო შორს წასვლა და „დაწინაურება" მან კი ყველა ეს უარჰყო ახალგაზდურის, ჰუმანიურ მიზნით გატაცებულმა და დღეს დ. ხონსა და იმის მახლობელ სოფლებში მშრომელსა და დაკვირვებულ ექიმ ჩხიკვიშვილს ყველა იცნობს და პატივის ცემით იხსენიებს.

ამას გარდა აღსანიშნავია შემდეგიც: მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი პოლიკარპე თავის საექიმო მოვალეობას პირნათლად ასრულებს (იგი აგრეთვე ითვლება ექიმ-მასწავლებლად ხონის სასტატო სემინარიაში, სადაც ასწავლის ანატომიას, ჰიგიენასა და ფიზიოლოგიას), ის სხვა საზოგადო საქმესაც არ გაურბის: არც ერთი სახალხო დაწესებულება არ არის ხონში, რომ ბ-ნი ჩხიკვიშვილი იქ წევრად არ ითვლებოდეს და ზნეობრივადა და ნივთიერად არ ეხმარებოდეს.

გულწრფელად ვულოცავთ ძვირფასს ექიმს 25 წლის ნაყოფიერს მოღვაწეობას და ვუსურვებთ დღეგრძელობას ჩვენის სოფლის დაუღალავსა და გულშემატკივარ მუშაკს.

**ვუკოლ ბერიძე, გიორგი ჭუბაბრია.**

# სპარსეთი

### დროებით მეჯლისი.

სპარსეთის დროებით მეჯლისმა გადასწყვიტა, კვირაში სამჯერ შეიკრიბოს პრინციპიალურ საკითხზე მოსალაპარაკებლად და ახალ მეჯლისისთვის კანონპროექტების შესადგენად.

### გარეშე საქმეთა მინისტრის პროტესტი.

უკვე ვიცით, რომ რუსის ჯარმა ყაზვინიდან 14 ვერსი წაიწია წინ. ამის თაობაზე სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა შემდეგი პროტესტი განუცხადა რუსეთისა და ინგლისის საელჩოებს:

„ჩვენ არ გვესმის, რისთვის წაიწია რუსის ჯარმა თეირანისკენ. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ ჩვენის ქვეყნის დამშვიდებას. ამ აზრით ჩვენ ბოიკოტი ავხსენით რუსის საქონელს. ჩვენ ვცდილობთ სპარსელები რუსის ხალხს დავუახლოვოთ და დავუმეგობროთ, ხოლო რუსის ჯარი თავის მოქმედებით ხელს გვიშლის ამ საქმეში".

### ტაგი-ზადეს სიტყვა.

„რუს. სლოვ."-ს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: 29 ივლისს დროებით მეჯლისის სხდომას პირველად დაესწრო კონსტიტუციონალისტების მეთაური ტაგი-ზადე. მან მოითხოვა გაუქმება იმ ბრძანებისა, რომლითაც მამედ-ალი-შაჰის ცნობილი სარდალი ეინუდ-დოვლე შირაზის გუბერნატრად იყო დანიშნული. ტაგი-ზადემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ამ ბრძანების წინააღმდეგ და ბოლოს ასე დაასრულა: „მტარვალურ წესწყობილების დროს უმაღლესი თანამდებობა ეჭირა ეინუდ-დოვლეს, ხოლო კონსტიტუციონურ წესწყობილების დროსაც იმავ ეინუდ-დოვლეს აძლევენ დიდს თანამდებობას. როდის-ღა უნდა განვთავისუფლდეთ მისგან? მართალია მომზადებული და განათლებული ხალხი გვაკლია, მაგრამ ეინუდ-დოვლეს გუბერნატორად დანიშვნა მაინც შეუძლებელია. ასეთს მაღალ თანამდებობაზე შეუძლებელია იმ კაცის დანიშვნა, რომელიც იყო მამედ-ალი-შაჰის დამჯდელ რაზმის უფროსად და რომელმაც შეიტანა ... იარაღი და ... ყაზახთა ... ბი".

ტაგი-ზადეს სიტყვამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დროებითმა მეჯლისმა მთავრობის ბრძანება ეინუდ-დოვლეს გუბერნატორად დანიშნის შესახებ ერთხმად გააუქმა.

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

როგორც ვიცით, ასოთ-ამწყობებიც მიემხრნენ გაფიცულ ქარხნის მუშებს თანაგრძნობისა და სოლიდარობის ნიშნად. ისინი ამბობენ, იმდრომდე მაინც ვიქნებით გაფიცულები, სანამ მრეწველები არ დაჰპირდებიან მუშებს, რომ არც ერთს მათგანს არ დაითხოვენ გაფიცვის გულისთვის. ასოთ-ამწყობების გაფიცვა არღვევს მესტამბეებთან დადებულ პირობას, რომლითაც აკრძალულია „თანაგრძნობის" გაფიცვები. ამის გამო მრეწველებმა ყვირილი მორთეს, რომ მუშებმა პირობა დაარღვიესო. ყველა სტამბაში შესწყდა მუშაობა, თვით სოციალისტური გაზეთებიც-კი აღარ გამოდის. მუშათა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ მთელს შვეციაში მარტო ერთი სოციალისტური გაზეთი გამოვიდეს საყოველთაო გაფიცვის ამბებით. ბურჟუაზიულმა გაზეთებმა საერთოდ მოაწყეს ერთის ყოველდღიურ ფურცლის გამოცემა, რომელშიაც იბეჭდება უფრო საყურადღებო ამბები.

ტელეგრაფისა და ტელეფონის მოსამსახურეებიც მიემხრნენ გაფიცვას.

სტოკჰოლმში შტრეიკბრეხერების შემწეობით შეეცადნენ ტრამვაის მუშაობის აღდგენასა და ქალაქის განათებას, მაგრამ ქალაქი მაინც ნახევრად დაბნელებულია, ხოლო ხანდახან მთლადაც დაბნელდება ხოლმე.

გაფიცვა მთელ შვეციას მოედვა. პატარა ქალაქებიც არ ჩამორჩნენ შვეციის სატახტო ქალაქს სტოკჰოლმს. გერმანულ გაზ. „ბერლინელ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი ამნაირად ჰხატავს გაფიცვის სუ-

---

ობის ცხოვრებას მრავალ ფერადად და საინტერესოდ ჰხდის. აქ ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ რომელ სფეროში იხატება ყველაზე აშკარად ერის თავისებურება და ინდივიდუალობა, რომელია ის გზები, რომელზედაც იგი არსებითად დამოუკიდებლად დადის და ამით თავის სიმწიფეს გვამცნებს.

მატერიალურ კულტურის სფეროში, ტეხნიკის, საწარმოო ძალთა განვითარებაში? რასაკვირველია აქაც, მაგრამ შედარებით ყველაზე ნაკლებად. მატერიალურ კულტურის წინსვლას, ისევე როგორც სოციალურ და პოლიტიკურ წესწყობილების, მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და სარწმუნოების განვითარებას, საძირკვლად ფსიხიური შემოქმედება უდევს. ეს დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, გარდა რამდენიმე უკიდურეს მატერიალისტისა. მაგრამ მატერიალური კულტურა, კერძოდ ტეხნიკა სწორედ ის სფეროა, რომელშიაც ყველაზე ნაკლებ იხატება სპეციფიურად ეროვნული, ყველაზე მეტად საერთაშორისო, კაცობრიული სული. თანამედროვე ტეხნიკის განვითარებამ სავსებით ნიადაგი გამოუცალა იმ შეხედულებას რომ მის უაღრესს მატარებლად ერთი რომელიმე რჩეული ერი უნდა ჩაითვალოს—ინგლისელები, ამერიკელები ან სხვა ვინმე. კიდევ მეტი: კაპიტალისტურ საზოგადოების ტეხნიკა არსებითად განსაცვიფრებელ ერთფეროვნებით მეორდება სხვა და სხვა ერის წარმოებაში, იაპონიიდან დაწყებული **ინგლისამდე და თანამედროვე** სოციალური დიფერენციაცია, საზოგადოდ, ეროვნულ სხვა და სხვაობის ზრდა, კერძოდ, გაუგებარი იქნებოდა, მარტოლაც ტეხნიკური განვითარება რომ შეადგენდეს კაცობრიობის წინსვლის გადამწყვეტს ფაქტორს.

ეს გასაკვირველიც არ არის: აქ ადამიანი ბუნების პირის-პირ სდგას უშუამავლოდ, პირდაპირ; აქ იგი სოცილობს ბუნება მისისავე მექანიკურ ძალების საშუალებით დაიპყროს, რომელნიც მათემატიკურის, გარდუვალის აუცილებლობით მოქმედებენ; მოქმედებენ ერთნაირად, ისტორიული და სოციალურ წრისაგან თითქმის სრულებით დამოუკიდებლად: ელექტრონის მოქმედება ერთნაირია ჩინეთში, ბრაზილიის უტეხ ტყეში და პარიზში; ორთქლი ამერიკის პრერიებში ისეთისავე აუცილებლობით ამოძრავებს მანქანებს და მატარებლებს, როგორც მანჩესტერის ქარხნებში ან ჰუნგრელ მაგნატის მამულში. ის განსხვავება, რომელსაც, მიუხედავად ამისა, ვხედავთ სხვა და სხვა ერის ტეხნიკურ კულტურაში, რასაკვირველია, დამოკიდებულია ეროვნულ ნიჭისა და გონების სიმაღლეზედაც; მაგრამ კიდევ უფრო მეტად იგი იმ ბუნებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიაც ესა თუ ის ერი სცხოვრობს და რომლის შეცვლაც მის სულიერ ენერგიას არ ძალუძს. ყოველს შემთხვევაში, ცხადია, რომ სხვაგან და არა ტეხნიკურს კულტურაში უნდა ვეძებოთ ის სფერა, რომელშიაც უაღრესად იხატება ეროვნულ შემოქმედების თავისებურება.

კიდევ უფრო შორს ჭეშმარიტებაზე ის შეხედულებაა, რომელიც ეროვნების მნიშვნელოვან და დამახასიათებელ თვისებას აღებმიცემობის ქონაში ან უქონლობაში ჰხედავს; იმ აზრს კი, რომ თანამედროვე ეროვნების წარმოშობის მიზეზი აღებ-მიცემობის განვითარება არისო, რასაკვირველია, სრულიად არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. აღებ-მიცემობას საძირკვლად მარტივი პროცესსი უძევს: ეკონომიურ განვითარების დაბალს საფეხურზე საქონელი იცვლება პირდაპირ საქონელში, უფრო მაღალს, აწ უკვე თითქმის ყველგან მიღწეულს საფეხურზე კი—საქონელი იცვლება ფულში, რათა შემდეგ ეს უკანასკნელი ხელახლა საქონელში გაიცვალოს, ან ფული იცვლება საქონელში (სახელდობრ სამუშაო ძალაში), რათა ამ უკანასკნელმა კიდევ მეტი ფული მოიტანოს, და, აი, ამ მარტივმა პროცესმა, რომელიც დღეს ყველგან უცვლელად მეორდება, უნდა შექმნას „თანამედროვე ეროვნება", ე, ი. ის განუზომელი მრავალმხრიანობა და სიმდიდრე მატერიალურ და სულიერ კულტურისა, რომელზედაც მთელ თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაა დაფუძნებული! როგორ, რომელის ჯადოსნურის ძალით ახერხებს ერთფეროვანი მიზეზი შედეგთა ასეთ მრავალფერადობის გამოწვევას? მთელი ეს შეხედულება აღებ-მიცემობაზე, როგორც ყოვლის შემძლე მისტიურ ძალაზე, ძლიერ დამახასიათებელია იმ აზროვნებისთვის, რომელიც მარქსმა „საქონლის ფეტიშიზმის" სახელით მონათლა და დიდის ხელოვნებით დაუპირდაპირა პოზიტიურ აზროვნებას. საქონელი დიდი გაიძვერა ნივთია, მეტაფიზიკურის გონება-სიმახვილით და თეოლოგიურის სასწაულ-მოქმედებით აღსავსე: საკმაოა იგი გაჩნდეს, შემდეგ ბაზარიც გაიჩინოს და მას ყოველი კეთილდღეობა მოჰყვება, მათ შორის თანამედროვე ეროვნებაც მთელის თავის ატრიბუტებით, რასაკვირველია.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ აღებმიცემობა ჰქმნის ეროვნებას იმდენად, რამდენადაც იგი სპობს ეკონომიურ კარჩაკეტილობას და ხელს უწყობს ეროვნულ მეურნეობის შექმნას, მასთან ერთად ეროვნების გაერთიანებასაო. შეიძლება მიგვითითონ ისტორიულს მაგალითებსა და ფაქტებზე, მაგ., ჩრდილოეთ გერმანიის საბაჟო კავშირზე, რომელმაც მოამზადა და ძლიერ ხელი შეუწყო გერმანელ ერის პოლიტიკურ შეერთებას: ეს კავშირი, როგორც ვიცით, წარმოიშვა 1819 წ. და 1835 წლამდის ეკონომიურად პრუსიის წინამძღოლობით გააერთიანა დაქსაქსულ გერმანიის თითქმის წველა ის სამეფოები და სამთავროები, რომელნიც შემდეგ, 1871 წელს, ახალ ეროვნულ სახელმწიფოს, გერმანიის იმპერიის ფარგალში შევიდნენ. ეჭვი არ არის, რომ საბაჟო კავშირმა, ე. ი. ეკონომიურმა ერთიანობამ, აქ, ისე როგორც სხვაგანაც, ხელი შეუწყო ეროვნულ სახელმწიფოს წარმოშობას, ე, ი. პოლიტიკურს გაერთიანებას. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ აღებმიცემობამ და ეკონომიურმა განვითარებამ შეჰქმნა თანამედროვე გერმანელი ეროვნება? განა გერმანელი ეროვნება არ არსებობდა 1871 და 1835 წლებამდის, მაშინაც, როცა მისი სამშობლო ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დაქსაქსული იყო, დაყოფილი ათას პაწია სამეფოდ და სამთავროდ, როცა ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც უცხო ერებთან უფრო მჭიდროდ იყო შეკავშირებული, ვიდრე ურთიერთ შორის? პრუსია პოლონეთთან, პომერანია შვეციასთან, შლეზვიგი და ჰოლშტეინი დანიასთან, ჰანოვერი ინგლისთან, სამხრეთ გერმანიის სამთავროები საფრანგეთთან! ან იქნება გერმანელი ეროვნება მხოლოდ დღეს არსებობს, ძველი გერმანია კი მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა, შესაძლებლობა და არა ისტორიული რეალობა, უშინაარსო ფიქცია: ის გერმანია, რომელმაც შეჰქმნა მდიდარი ენა, თავისებური ზნე-ჩვეულება, რელიგიური რწმენა და მსოფლიო მხედველობა, დიადი მუსიკალური კულტურა და შეუდარებელი პოეზია; რომელმაც წარმოშვა ლუტერი და მელანხტონი, დიურერი და ჰოლბაინი, ლესსინგი, გოეტე და შილლერი, ბახი, მოცარტი, ჰაიდნი და ბეტჰოვენი, ლეიბნიცი, კანტი, ფიხტე, შელლინგი და ჰეგელი?!

მთელი თანამედროვე აღებმიცემობა საერთაშორისო უფროა თავის ძირითად ტენდენციით, ვიდრე ეროვნული: მისი უაღრესი სარბიელი მსოფლიო ბაზარია და არა ეროვნების ან სახელმწიფოს მიერ შემოზღუდული წრე; ის ეკონომიურად სხვა და სხვა ეროვნებას არა ნაკლებ მჭიდროდ აკავშირებს ერთი მეორესთან, ვიდრე თვითეულ ეროვნების წევრთ ურთიერთ შორის. ევროპის გარეშე აღებ მიცემობა ერთის წლის განმავლობაში (1902 წ.) სჭარბობს სამოცს მილლიარდს მარკას; თუ ამ უზარმაზარს ციფრს სხვა ქვეყნების აღებ-მიცემობასაც მივუმატებთ, დაახლოვებით მაინც წარმოვიდგენთ, რა ძლიერი უნდა იყოს აღებ-მიცემობის როლი ინტერნაციონალურ ეკონომიურ კავშირის განმტკიცებაში. მაგრამ რა მოჰყვა მსოფლიო ბაზრის წარმოშობას და ეკონომიურს გაერთიანებას? ყოველს შემთხვევაში არა ის, რაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო „აღებმიცემობის თეორიის" მიხედვით: არა გაერთიანებული „ევროპიული" ან, მით უმეტეს, „მსოფლიო" ეროვნების შექმნა, არა გაქრობა ან ჩაჩრდილვა არსებულ ეროვნებათა სხვა და სხვაობისა და წინააღმდეგობებისა. პირიქით: მეცხრამეტე საუკუნე—ეს მსოფლიო ბაზრის საუკუნე, მასთან ერთად ეროვნულ თვით-შეგნების განმტკიცების ხანაა. თვითეული ერი თავის საკუთარის გზით მიდის, იმ გზით, რომელიც იმის სულიერს დედა-არსს შეესაბამება, და ეს მსვლელობა არ შეჩერებულა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოებში, ინტერნაციონალურ აღებ-მიცემობის ზრდის მიუხედავად.

ეროვნება, როგორც სოციალი ფსიხიური ერთეული, როგორც კულტურული რეალობა, არსებობს იქამდისაც, სანამ ის ეკონომირად და პოლიტიკურად გაერთიანდებოდეს, სანამ ეროვნულ მეურნეობას და ეროვნულ სახელმწიფოს შექმნიდეს. აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარება და ეკონომიური გაერთიანება ხელს უწყობს იმის პოლიტიკურს კონსოლიდაციას, როგორც, პირიქით, პოლიტიკური კონსოლიდაციაც, თავის მხრით, ხელს უწყობს ეკონომიურს შეერთებას და ეროვნულ მეურნეობის შექმნას. პირველ პროცესსის ისტორიული მაგალითია გერმანია, უკანასკნელის—იტალია. იტალიელ ეროვნების სახელმწიფოებრივ შენობას საძირკველი 1859 წელს ჩაეყარა, ხოლო 1871 წელს დამთავრდა: მან თავის მხრით ცხოვრებაში ეროვნული აღებ-მიცემობა და მეურნეობა გამოიწვია. იტალიელი ეროვნება კი, რასაკვირველია, მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდისაც არსებობდა (ან როგორ უნდა გაერთიანდეს ის, რაც სინამდვილეში არ არის?), არსებობდა ის დიდიიტალიელი ეროვნება, რომელმაც განუმეორებელი სულიერი კულტურა შეჰქმნა, რომელმაც კაცობრიობას დანტე და პეტრარკა უძღვნა, არიოსტო და ტორკვატო ტასსო, რაფაელი და მიქელ ანჯელო, ტიციანი და კორრეჯიო, გალილეი და ჯიორდანო ბრუნო, მაკიაველი და ვიკო, ალფიერი და ლეოპარდი, სეკკი და სკიაპარელი და სხვ.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

რათს პატარა ქალაქ ჰელსინგფორსში, რომელიც დანიის პირდაპირ მდებარეობს ზღვის პირად: ქარხნის საკვამლეებიდან ბოლი აღარ ამოდის, ტრამვაი აღარ მოქმედებს და მოგზაურები ფეხით მიდიან გემებიდან სასტუმროებში. საღამოობით ქუჩებში დიდი ხალხი მოიყრის ხოლმე თავს. ქალაქში დაიარებიან ჯარის პატრულები; ქალაქის გამგეობის შენობა სავსეა ჯარის კაცებით. ყველა ჰგრძნობს, რომ მდგომარეობა გამწვავებულია. რესტორანებში ლუდს მხოლოდ იმათ აძლევენ, ვინც სადილობს. ამიტომ შვეციელმა ლოთებმა დანიის სანაპირო ქალაქები გაავსეს და იქატარებენ დროს.

„რეჩ"-ის კორესპონდენტი ცოცხლად აწერს გაფიცვის პირველ დღეებს.

„გაფიცვა 4 აგვისტოს (ახ. სტ.) დაიწყო. მთელი სტოკჰოლმი და ნამეტნავად მთავრობის წრეები დიდის მოუთმენლობით ელოდნენ ამ დღეს. მუშები სახალხო სახლში განუწყვეტლივ ახდენდნენ მიტინგებს, ხოლო 3 აგვისტოს მთელი ღამე მიტინგზე გაათენეს. ქუჩებში საჩქაროდ ათავებენ ყველა სამუშაოს და აშორებენ ყველაფერს, რაც კი ბრძოლის იარაღად გამოდგება.

უცებ ხმა გავრცელდა, რომ ვიღაცებმა 25 კილოგრამი დინამიტი მოიპარესო. რევოლვერები სულ ერთიან გაიყიდა მაღაზიებში. დუქნებსა და ბაზრებში დიდი ვაჭრობაა გაჩაღებული. მეეტლეებს საჩქაროდ მიჰყავს ვაგზლისკენ შეშინებული მგზავრები, ჩემოდნებით. ყველგან პოლიცია ჩანს. ბანკებს ჯარი იცავს; ხალხს თავისი ფული გამოაქვს ბანკებიდან. ვაგზლებსაც პოლიციის გაძლიერებული რაზმები ახვევია; იგი მხოლოდ სხვაგან წამსვლელებს უშვებს ვაგზალში, ან იმათ, ვისაც მოწმობა აქვს. ყველა აღელვებული იყო და რაღაცა არა ჩვეულებრივ ამბებს ელოდებოდა.

თითონ მუშები-კი წინანდებურ სიდინჯეს იჩენდნენ. სახალხო სახლზე ტყუილად როდია გაკრული მოწოდებები, რომლებიც სიდინჯესა და წესიერების დაცვას ურჩევენ მუშებს. ერთზე მსხვილი ასოებით სწერია: „მუშებო! ნუ აჰყვებით გულის თქმასა და პროვოკაციას. ყოველი უწესოება სასარგებლო იქნება ჩვენის მტრებისთვის"!

„5 აგვისტოს გაზ. „სოციალ-დემოკრატ"-ის მოწინავე წერილი შემდეგის სიტყვებით იწყებოდა: „დიდებული სიწყნარე სუფევს მთელს შვეციაში! აი დიდ გაფიცვის პირველ დღის მიერ პატიოსნად დამსახურებული მშვენიერი ატესტატი". მართლაც და პირველმა დღემ ყველა გააოცა თავის სიწყნარითა და წესიერებით. ჩვეულებრივ გაცოცხლებულ სტოკჰოლმს, რომელიც ზაფხულობით სულ ქუჩაში და ყავახანებში ატარებს დროს, იმ დღეს ვერ იცნობდით. მიგარი სასმელები სასტიკად აკრძალეს. ბევრი რესტორანი და ყავახანა დაიკეტა, ხოლო დარჩენილ რესტორანებში ხალხი სულ არა ჩანს, უნდა რამე კერძი შეუკვეთოთ, რომ ერთი ჭიქა ლუდი მიიღოთ.

ქუჩებში სამარისებური სიჩუმე სუფევს. დუქნები თუ პურის დუქნები სულ დაკეტილია, არც ერთი მეეტლე არა ჩანს,—ისინიც გაფიცულან. აღარ მუშაობს ტრამვაი, ზღვასა და არხებში აღარ დასრიალებენ პატარა გემები. მხოლოდ კანტი-კნუტად გაირბენს ხოლმე კერძო ეტლი.

ბულვრები და სკვერები კი სავსეა ხალხით: იქ ჯგუფ-ჯგუფად სხედან დაფიქრებული, დაღვრემილი გაფიცული მუშები „სოციალ-დემოკრატით" ხელში. ეს გაზეთი, რომელიც ჩვეულებრივად 22,000 ცალი გადის, გუშინ 26,000 ეგზემპლარი გამოვიდა. მეტად ბევრი ხალხია ზღვის სანაპირო ქუჩებზეც—აქ ნემს-კავებით იჭერენ თევზსა: ეგები ამით მაინც ვიშოვოთ სადილის ფულიო. ბევრი ხალხი ჩანდა აგრეთვე მუზეუმებსა და გალერეებში.

გაფიცვის პირველმა დღემ ისე ჩინებულად ჩაიარა, რომ პოლიციის ოფიციალურ ცნობით, იმ დღეს გაცილებით უკეთესი წესიერება სუფევდა, ვიდრე ჩვეულებრივაა ხოლმე სტოკჰოლმში. უცხოეთის პრესა, თვით კონსერვატიულიც-კი, აღნიშნავს შვედ მუშების საოცარ თავდაჭერილობას და დისციპლინას.

ყოველ დღე ახალ-ახალი პროფესიონალური კავშირები ემხრობა გაფიცულ მუშებს. შვედები ისე გაიტაცა გაფიცვამ, რომ თვით მესაფლავე მუშებიც-კი გაიფიცნენ და მხოლოდ მუშათა კომიტეტის ბრძანებით განაახლეს მათ თავიანთ მოვალეობის ასრულება.

რომ ქალაქსა და სახალხო სახლში მეტის-მეტად დიდი ხალხი არ შეიყაროს, მუშები თავიანთ კრებებს ქალაქს გარეთ ჰმართავენ. მეთაურები ზომიერ, თავდაჭერილ კილოთი ლაპარაკობენ საჭირ-ბოროტო საგნებზე. მეორეს მხრით პოლიცია იმ მიტინგებზედაც-კი, რომლებზედაც დიდძალი ხალხი შეიყრება ხოლმე—ერთზე მაგალითად 25,000 კაცი შეიყარა—სრულიობით არა ჩანს. ცხადია, ისიც ძლიერ ერიდება ყოველს შეტაკებას და უთანხმოებას.

მუზეუმებში უფრო და უფრო მეტი ხალხი მიდის. 7 აგვისტოდან სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება ყოველ დღე რამდენსამე ლექციას აკითხვინებს მუშებისთვის.

სანოვაგის ფასი საშინლად იწევს. ასე მაგალითად, ერთი ლიტრა კარტოფილი, რომელიც ჩვეულებრივ 3 ერე ღირს, ეხლა იყიდება 25 ერედ. რესტორანებშიაც გააძვირეს კერძები: თითონ 10-15 ერე მოუმატეს.

6 აგვისტოს, ყინულის უქონლობის გამო, დაიკეტა გასაგრილებელ სასმელების დუქნები. სხვა გნებური მგზავრები აღარ მოდიან, სასტუმროები ცარიელები არის.

რასაკვირველია, ყველანი ეხლავე ცდილობენ გამოიცნობას, თუ რით გათავდება გაფიცვა. ყველანი ჰკითხულობენ: რამდენ ხანს შესძლებენ მუშები? სულ ესე ბეჯითად დაიხპარებიან საზღვარ-გარეთელი მუშები, თუ არა? მუშები რაიმე პროვოკაციას ხომ არ აჰყვებიან? ზოგი გაკვირვებულია; ზოგი, მაგალითად, ჯარის უფროსები, რომლებმაც მთელს შვეციაში სამხედრო წესები გამოაცხადეს, შერცხვენილია: მათი შველა თურმე სრულიად არავის არ სჭირია".

# ოსმალეთის ამბები

**დარდანელის სრუტის საქმე**

როგორც ვიცით, უცხოეთის გაზეთებში ცნობა დაიბეჭდა, ვითომ ინგლისი დასთანხმდა, რომ პარიზის 1856 წლის ხელშეკრულობა გაუქმდეს და რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტს უფლება მიეცეს დარდანელის სრუტე ში გაიაროს ხოლმეო, ეს შეთანხმება კოუსში მოხდა რუსთ-ხელმწიფისა და ინგლისის მეფის შეხვედრის დროსაო.

ამ ცნობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხოეთის პრესაში. ვენური გაზ. „ნ. ფრ. პრესე"-ს არა სჯერა, რომ ეს ცნობა მართალი იყოს. გაზეთი სწერს, ერთმა ინგლისელმა პოლიტიკოსმა, რომელიც მეფე ედუარდს ახლავს მარიენბადში, სთქვა: ამ ჟამად ინგლისიც-კი ვერ დასთანხმდება რუსეთის ასეთს სურვილის შესრულებას. დარდანელის სრუტის გახსნა შემდეგში იქნება შესაძლებელი მხოლოდ ყველა სახელმწიფოსათვის და არა მარტო რუსეთისთვისო.

ამავე საგნის თაობაზე შემდეგს ატყობინებენ ვენიდან „რუს. სლოვო"-ს: ავსტრიელი დიპლომატები ამბობენ, რომ რუსეთმა მართლა გამართა მოლაპარაკება დარდანელის სრუტის საქმეზეო. ავსტრია პრინციპიალურად თანახმაა, რომ დარდანელის სრუტე გაიხსნას რუსეთისთვის, მხოლოდ იმ პირობით, რომელიც შარშანვე წარუდგინა რუსეთს ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბარონ ერენტალმაო.

ავსტრიის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, რომ დარდანელის სრუტის გახსნის შემდეგ რუსეთი, ოსმალეთი, ავსტრია და იტალია იძულებულნი იქნებიან თავიანთი ფლოტები გააძლიერონო. მაშინ რუსეთი დიდ გავლენას მოიპოვებს ხმელთა შუა ზღვაში და მის ნაპირებზეო. ინგლისი იმიტომ სთანხმდება დარდანელის სრუტის გახსნას, რომ ავსტრიამ გადასწყვიტა თავის ფლოტის გაძლიერება და 4 „დრედნოუტ"-ის აშენება.

საქმეში ჩახედული წრეები ამბობენ, აგრეთვე დარდანელის სრუტის საქმის გადაწყვეტა ბრკოლდება, რადგან ოსმალეთს ამ ჟამად არა სცალიან მოლაპარაკებისთვისო".

ამ საქმემ დიდად დააფიქრა გერმანული პრესაც. გერმანული გაზეთები ამტკიცებენ, რომ მარტო ინგლისსა და რუსეთს როდი შეუძლიანთ პარიზის ხელშეკრულობის გაუქმება, რადგან ამ ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ აგრეთვე გერმანიას, იტალიას, ავსტრიას და საფრანგეთსაო. გაზეთი „მორგენ პოსტ"-ი მოითხოვს, რომ სამთა კავშირმა, ესე იგი გერმანიამ, ავსტრიამ და იტალიამ ბეჯითი წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთსა და ინგლისს ამ საქმეში, რადგან დარდანელის სრუტის გახსნა მეტად საზარალო იქნება სამთა კავშირისთვის და ნამეტნავად ავსტრიისთვისო. გერმანიის ელჩმა—სტამბოლში უნდა ბეჯითად მოითხოვოს, რომ პარიზის ხელშეკრულობა არ გაუქმდეს და რუსეთს წინანდებურად აკრძალული ჰქონდეს დარდანელის სრუტეში სამხედრო ფლოტის გატარებაო.

# რუსეთი

**დეპუტაცია** პირველ აგვისტოს პეტერბურგში ჩასულია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ოდესის განყოფილების დეპუტაცია—გრაფი კონოვნიცინი, პელიხანი და კორდინალოვსკი. დეპუტაცია იშუამდგომლებს, რომ ებრაელებს საარჩევნო უფლება ჩამოერთვათ. ასეთისავე შუამდგომლობით მთავრობას ოდესის ქალაქის თვითმართველობამაც მიმართა.

**საინტერესო განაჩენი.** 1907 წელს ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამართველომ სამართალში მისცა ფინლიანდიის მოქალაქე ფილოსოფიის მაგისტრი სტემბერგი. სტემბერგს ბრალდებოდა ჟურნალის ნებადაურთველად გამოცემა. ეს საქმე გაარჩია ჰელსინგფორსის სასამართლომ და სტემბერგი გაამართლა. ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამართველო არ დაკმაყოფილდა ამ განაჩენით და საქმე მეორე ინსტანციაში გადაიტანა. „ბირჟევია ვედ." იუწყება, რომ ეს საქმე ამ დღეებში გაირჩა და სასამართლომ დაამტკიცა განაჩენიო. ამას გარდა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამართველო მოვალეა სტემბერგს სასარგებლოდ 17 მანეთი გადაიხადოს.

**გარტინგის წერილი.** ამ დღეებში ვწერდით, რომ „რეჩ"-ში დაბეჭდილია გარტინგის წერილიო. აი ეს წერილიც: „12 ივლის" „რეჩი"-ს მე № 188-ში დაბეჭდილია წერილი. ვითომ ჩემთან ელაპარაკოს თქვენ თანამშრომელს და მე მისთვის გადამეცეს ცნობები იმ ხმების შესახებ, რომლებიც ანარქისტ ბურცევმა და ჩემ აგენტად ყოფილმა ლეროამ გაავრცელეს, იმ ლეროამ, რომელიც სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისთვის დავითხოვე. რადგანაც დროებით პეტერბურგიდან წავედი, მე შეძლება არა მქონდა „რეჩი"-ს ეს ნომერი წამეკითხა და გამებათილებინა მასში დაბეჭდილი წერილი. ეხლა შეიძლება მომეცა წამეკითხა ეს წერილი და ვაცხადებ, რომ იმ თავით ამ მთავამდე არც ერთ გაზეთის თანამშრომელთან არ მილაპარაკნია და გაზეთ „რეჩ"-ში დაბეჭდილი წერილი ყოველივე საფუძველსაა მოკლებული". არკადი მიხეილის ძე გარტინგი. ამ წერილს რედაქციის შენიშვნაც აქვს. რედაქცია სწერს: ეს წერილი ნოტარიუსმა ტოულინმა მოგვიტანა. კანონის ძალითაა შემოწმებული გარტინგის ხელი და არა წერილის შინარსი. გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს რომ გარტინგი გამუდმებით პეტერბურგში სცხოვრობდა, რასაც თვითონაც ამოწმებს. ჩვენც გვინდოდა თვითონ წერილის ავტორი კომკოვი სწერს: მე არ მიკვირს, არც ის რომ გარტინგლანდეზენი თავის ნალაპარაკევის გაბათილებას სცდილობს. არც ის, რომ იგი ხელმეორედ პეტერბურგში ჩამოვიდა. ჩემთან ლაპარაკის დროს გარტინგი დარწმუნებული იყო, რომ რომელიმე მემარჯვენე გაზეთის თანამშრომელს ელაპარაკება და ეს იყო მიზეზი, რომ ისე გულახდილად მელაპარაკა მარტო თავის თავზე კი არა, აზეფზედაც კი · რაკი ლანდეზენ-გარტინგის ვინაობა გამოირკვა, გამოირკვა სად სცხოვრობს იგი და აზეფი, ყველანი დაფაცურდნენ. ყველაზე ძალიან აღელდა აზეფი, რომელმაც მოითხოვა გარტინგი მასთან მისულიყო. გარტინგი ამ დროს რუსეთიდან სამუდამოდ წასვლას აპირებდა ამ საქმისთვის საზღვარ-გარეთიდან რაჩკოვსკიც კი ჩამოვიდა გარტინგი, აზეფი და რაჩკოვსკი ერთად შეიყარნენ და გადასწყვიტეს „რეჩ"-ში წერილი მოეთავსებინათ და გაებათილებინათ წერილის შინარსი, რაიც უკვე აასრულეს.

**მოსკოვის პრესა 1908 წელს.** „მოსკ. ვედომ."-ში საინტერესო ცნობებია მოყვანილი მოსკოვის პრესსის მდგომარეობის შესახებ 1908 წელში. ამ წელს მოსკოვში გამოსულა 227 პერიოდული გამოცემა, აქედან 24 ყოველ-დღიური. თავის თავად დახურულა 104 და ადმინისტრაციას დაუხურავს 10 გამოცემა. ამ წელს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს სამართალში მიუცია 28 გამოცემის რედაქტორი გამოცემებს გადაუხდიათ 28,000 მანეთის ჯარიმა.

**საინტენდანტო.** მოსკოვის საინტენდანტოს მოიჯარადრეების წიგნები სულ ახალ-ახალ ცნობებს იძლევიან მოხელეების შესახებ. მაგალითად, ესაული ტ. ყოველ 150,000 მანეთიდან ჯარიმად 17,500 მანეთს იღებდა. პოლკოვნიკი გ. სულ სხვანაირად მოქმედებდა თურმე. ის გადადიოდა ერთი პოლკიდან მეორეში. პოლკებში მოიჯარადრეებს უხერხებდა იჯარის აღებას და განსაზღვრულ პროცენტს იღებდა. პოლკოვნიკი ნ. არა კმაყოფილდებოდა დაწესებულ პროცენტით. (5—6% და 15% თხოულობდა. როდესაც მოიჯარადრეები ეუბნებოდნენ, არ შეგვიძლიან ამოდენა ფულის გადახდა ვიზარალებთო, პოლკოვნიკი გ. ეუბნებოდა, თქვენ რა ზარალში ხართ, ფასებს მოუმატეთო. ძმებს ალაფუზოვების და ტილ და კომპანიის გარდა ბევრი ქრთამი უძლევიათ ოსიპოვის და კრუჟენიკოვის ქარხანას. ამ წიგნებში იმ 10,000 მანეთის გარდა, რომელიც მათ პოლკოვნიკ კ. გასაძღვებლად გადაუხდიათ, სწერია კიდევ 10,000 მანეთი პოლკოვნიკ ფ. გასაძღვებლად, რომელიც მოიჯარადრეების აზრით „მძიმე ხასიათის" კაცი ყოფილა ე. ი. ქრთამებს არ იღებდა და სასტიკად ექცეოდა მათ. პოლკოვნიკ ფ—ს გაძევებაში დაინტერესებული ყოფილა ვოლკის ქარხანაც, რომელსაც მის გასაძევებლად 4,000 მანეთი გადაუხდია.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს კომისიას არ მიუღია 40,000 კარავი. კარვები ისეთი პატარები ყოფილა, რომ კომისიის წევრებსაც კი შეურცხვენიათ. ამის შემდეგ მოიჯარადრეს მიუმართავს გენერალ ბ—სთვის, რომელსაც ბრძანება გაუცია, საჩქაროდ ჩაიბარეთ კარვებიო.

**კიევის საინტენდანტო.** მოსკოვის საინტენდანტოს შემდეგ კიევის საინტენდანტომ გაითქვა სახელი. აქ სხვათა შორის აღმოაჩინეს, რომ მოხელეები ფქვილს ჰყიდნენ და სხვა. საინტერესოა ფეხსაცმელების ისტორია. მოიჯარადრეები ცუდ ტყავის ფეხსაცმელს ჰკერავდნენ. მოიჯარადრეები, რა თქმა უნდა იღებდნენ—ფეხსაცმელები ისეთები იყვნენ, რომ სალდათები 1 მ.—1 მ. 50 კ. ჰყიდნენ ვინმე №-ზე, რომელიც ამ ფეხსაცმელებს მოიჯარადრეს 2 მ. 50 კ.—8 მანეთად ჰყიდდა, მოიჯარადრე თავის მხრივ საინტენდანტოს ხელმეორედ აბარებდა ამ ფეხსაცმელებს და იღებდა 6 მ. 50.—7 მანეთს!.. ამას გარდა რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ 1,000 შინელი სადღაც გამქრალიყო. რევიზიამვე აღმოაჩინა, რომ საინტენდანტოს მოხელეები, ისევე, როგორც მოსკოვისა, დიდ ქრთამებს იღებდნენ. საინტერესოა თუ როგორ ყიდულობდნენ პურს. კანონის ძალით საინტენდანტომ უპირატესობა უნდა მისცეს მემამულეებს. მოხელეები აქაც ისეთ რამეებს სჩადიოდნენ, რომ გასაკვირველია, როგორ ვერ გაუგეს. რომელიმე მოიჯარადრე მოიგონებს და ტყუილად რომელიმე მემამულის გვარს და იმის სახელით ასაღებდა პურს ან არა და იშოვიდა რომელიმე პატარა მემამულეს, იმისთანა მემამულეს, რომელსაც რაღაც 20—40 დესეტინა აქვს და იმის სახელით იღებდა იჯარას. რა თქმა უნდა, მემამულე და მოხელეები თავის „გასამრჯელოს" იღებდნენ. ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირობის დაწერის დროს, თუ ფუთი პური მანეთი ღირდა, პირობაში 1 მ. 20 კაპეიკი იწერებოდა და ასე ყოველთვის. ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ მოიჯარადრეს საინტენდანტოს გაჰრიგებია ფუთ პურს 1 მ, 10 კაპეიკად ჩაბარებთო. პურის ფასს უეცრად აუწევია. მოიჯარადრეები დაფაცურდებოდა, რომ როგორმე ფასი მოემატებინათ. მოგეხსენებათ დატვირთული ვირი" ყოველ სიმაგრეს აიღებს. მოხელეები სულ ცოტა „გასამრჯელოთი" (ხშირად რამდენიმე ათი ათასი) კმაყოფილდებიან და მოიჯარადრეს ანთავისუფლებენ, მაგრამ თავისებურად. პირობაში სულ სხვა გვარი სწერია, მოიჯარადრე კი ისევ წინანდელი კაცია, იმ ვარჩევით, რომ წინად ეს მოიჯარადრე მოვალე იყო საინტენდანტოსთვის ფუთი პური 1 მ, 10 კაპეიკად მიეყიდნა, და ეხლა კი 1 მ, 35—40 კაპეიკად!!..

(„რუს. სლ.")

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 2, რეველში 2, პეტერბურგში 1, სამარაში 4, კიევში 3 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, სარატოვში 1, მოგილევში 2, ოდესაში 1, პეტერბურგში 2 კაცი.

# უცხოეთი

**ჩინეთის პარლამენტი.**

როგორც ვიცით, ჩინეთის მთავრობა დაჰპირდა ხალხს, კონსტიტუციას 9 წლის შემდეგ დავაწესებთ და პარლამენტსაც მაშინ მოვიწვევთო, ხოლო პროვინციებს თვით-მართველობა წელსვე მიეცემათო. მთავრობის დაპირებისამებრ, პროვინციებში უკვე დაწესდა თვითმართველობა და ბევრგან უკვე აირჩიეს კიდეც პროვინციალური საბჭოები. ეხლა მთავრობას პარლამენტის მოწვევაც საჭიროდ დაუნახავს. „რუს. სლოვო"-ს ატყობინებენ პეკინიდან: „მთავრობა დარწმუნდა, რომ ძნელია პარლამენტის მოწვევა ცხრა წლით გადიდევას, როდესაც პროვინციალური თვით-მართველობა უკვე მალე დაიწყებს მოქმედებას. მთავრობამ პროექტი შეადგინა დაარსოს სათათბირო კრება, ეხლანდელ სენატის მსგავსად, რომელშიაც წევრთა ნახევარს დაჰნიშნავს ადგილობრივი გუბერნატორი, ხოლო მეორე ნახევარს გაჰგზავნიან პროვინციალური თვითმართველობანი. ამნაირად, პეკინში მომავალ წლიდანვე დაწესდება პარლამენტის მსგავსი უმაღლესი სათათბირო დაწესებულება. მის წევრთა არჩევნის წესი ორიოდე კვირის შემდეგ იქნება გამოცხადებული. ამ სათათბიროს დაერქმევა „თზე-ზენ-იენი" (პოლიტიკური საბჭო).

ჩინურმა პრესამ ცუდის თვალით შეხედა ამ პროექტს.

# წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო „ვუშაგის" მკითხველებს, რომ მე ამიერიდან ხელს ვიღებ „გუშაგის" თანამშრომლობაზე.

**ი. ევდოშვილი.**


# განცხადებანი

**სად. ტყიბულაში**

დამზადებული მაქვს ორას საჟენამდე რცხილის და წიფლის

## შეშა

შემიძლია ჩავაბარო სხვა და სხვა დაწესებულებას და აგრეთვე გავყიდო წვრილადაც.

ტყიბული მიხაილ ყუფარაძე.

(4—კვ.—4)

პირველი კერძო საავადმყოფო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენველი:** 6—6 ნახევა ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—144)


# მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საკარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საკარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საკარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საკარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).





# ალექსანდრე როსტომისძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—61)